სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრი

2017 წლის პირველი კვარტლის

ანგარიში

2017 წლის პირველ კვარტალში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, ჩატარდა ოთხი ტრენინგი „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“ სახელმწიფო უწყებების, მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ებისა და შპს-ების, საქართველოს მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული და მათ მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ააიპ-ების, შპს-ებისა და სხვ.) შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტებისათვის.

სულ გადამზადდა 303 მსმენელი. აქედან, 152 მსმენელი სახელმწიფო უწყებების, ხოლო 151 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტები.

მსმენელთა გენდერული ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი:

303 მსმენელს შორის წარმოდგენილი იყო 160 ქალი და 143 მამაკაცი.

მსმენელთა ასაკობრივი ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი:

35 წლამდე - 192 მსმენელი; 50 წლამდე - 86 მსმენელი; 65 წლამდე - 25 მსმენელი.

2017 წელს, შეფასების 100 ქულიანი სისტემის პირობებში, მსმენელის მოსწრების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, გაიცა სერტიფიკატის სამი კატეგორია. მათ შორის:

„წარმატებით ჩააბარა ტესტირება“ – **17 სმენელი;**

„კარგად ჩააბარა ტესტირება“ – **209 მსმენელი;**

„დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება“ – **67 მსმენელი;**

ვერ გადალახა ზღვარი - **6 მსმენელი;**

არ გამოცხადდა ტესტირებაზე - **4 მსმენელი;**

მსმენელთა ანონიმური გამოკითხვის ანკეტების (303 -დან წარმოდგენილი იქნა კითხვარის მხოლოდ 299 ერთეული) ანალიზის მიხედვით:

1. ტრენინგის ორგანიზების ხარისხი არის:

ძალიან კარგი - **242 მსმენელი; 81 %**

კარგი - **57 მსმენელი; 19.06 %**

არადამაკმაყოფილებელი - **0 %**

2. მიმაჩნია, რომ ეს მოდული, ზოგადად არის:

ძალიან წარმატებული - **118 მსმენელი; 39 %**

წარმატებული - **180 მსმენელი; 60.2 %**

წარუმატებელი - **1 მსმენელი; 0.33%**

3. მიმაჩნია, რომ ამ მოდულის სწავლების პერიოდი არის:

ნორმალური - **234 მსმენელი. 78.26 %**

ხანგრძლივი - **11 მსმენელი; 4 %**

ხანმოკლე - **54 მსმენელი; 18.06 %**

4. მიმაჩნია, რომ ჩემი საქმიანობისათვის ამ სახის ტრენინგი:

აუცილებელია - **179 მსმენელი. 59.87 %**

საჭიროა - **117 მსმენელი; 39.13 %**

არ არის საჭირო - **3 მსმენელი; 1 %**

5. ჩემი აზრით, დამხმარე მასალები:

კვალიფიციურად არის შედგენილი და სრულია - **203 მსმენელი; 68 %**

კვალიციფიურად არის შედგენილი, მაგრამ არასაკმარისია - **89 მსმენელი; 29.77 %**

არაკვალიფიციურად არის შედგენილი - **7 მსმენელი; 2.34 %**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ამოქმედების დღიდან ანუ 2014 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე, გადამზადებულია **1833 (ათასრვაასოცდაცამეტი)** შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტი.

მათ შორის: **821 (რვაასოცდაერთი)** მსმენელი სახელმწიფო უწყებების, ხოლო **957 (ცხრაასორმოცდაჩვიდმეტი)** ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტები. ხოლო **55 (ორმოცდათხუთმეტი)** ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელი

სასწავლო ცენტრის ადმინისტრაცია